ივნისი 2012

განათლებისა და განვითარების პროგრამა

საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზა: საერთაშორისო შეფასებები

ლელა რეხვიაშვილი
მკვლევარი

სარჩევი

შესავალი 3

დემოკრატიული კონსოლიდაციის შეფასება - საქართველო „ნაცრისფერ ზონაში“ 4

პრესის თავისუფლება 11

დასკვნა 15

ავტორის შესახებ 17

წყაროები 18

შესავალი

2003 წლის ვარდების რევოლუციამ საქართველოში თავისუფლების, დემოკრატიის და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების იმედი გააღვიძა. საერთაშორისო დამკვირვებლები მხარდაჭერას უცხადებდნენ დემოკრატიის მორიგი ტალღის დასაწყისს პოსტ-საბჭოთა სივრცეში, ხოლო საქართველოს მოსახლეობა ახალი ხელისუფლებისგან ხალხის სამსახურში ჩადგომას მოელოდა.

მიხეილ სააკაშვილი და მისი ახალგაზრდა გუნდი მოსახლეობას კორუფციისა და ნეპოტიზმის აღმოფხვრას, თავისუფალ და სამართლიან არჩევნებს, ადამიანის უფლებებისა და ღირსების დაცვას, ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებას შეპირდა. მიუხედავად იმისა, რომ, გარკვეულ სფეროებში პოზიტიური განვითარებები შეინიშნება, დემოკრატიზაციის მიმართულებით წინსვლა ქვეყანაში, არ მომხდარა.

საქართველოში პოლიტიკური ცვლილებების შესასწავლად მოცემული სტატია სხვადასხვა საერთაშორისო ინდექსების მონაცემებს განიხილავს. აკადემიურ და პოლიტიკურ წრეებში ფართოდ აღიარებული ინდექსები ქვეყნებს ანიჭებს ქულას და რანგს, რის მიხედვითაც შესაძლებელია ქვეყნების დემოკრატიული განვითარების დონის შეფასება წინა წლებთან და მსოფლიოს ქვეყნებთან შედარებით. პოლიტიკურ განვითარებათა ნარატიული შეფასებები უფრო მრავალფეროვანიც არის და მდიდარიც, მაგრამ ინდექსების უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი წინასწარ განსაზღვრული კომპონენტების და ინდიკატორების მიხედვით აღწერენ ქვეყნების პროგრესს წლების მანძილზე და დემოკრატიული განვითარების ტენდენციების იდენტიფიკაციას ახდენენ. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ინდექსები ღირებულ მონაცემებს გვაწვდიან, თითოეულ მეთოდოლოგიას საკუთარი შეზღუდვები და კრიტიკა გააჩნია. განსხვავებული ინდექსები მეთოდოლოგიური სხვაობების მიუხედავად, მსგავს ტენდენციებს ასახავენ და კორელაცია მათ მონაცემებს შორის საკმაოდ დიდია, რაც მონაცემთა სანდოობას ადასტურებს.

ინდექსების მონაცემები მეტნაკლებად კრიტიკულია და ხშირად პოლიტიკური ვითარების ადგილობრივ შეფასებებს ემთხვევა. მათი შეზღუდვების მიუხედავად, ისინი გვეხმარებიან დავინახოთ როგორ არის აღქმული საქართველო გარე შეფასებით გლობალურ კონტექსტში. ამგვარ მიუკერძოებელ შეფასებებთან გაცნობა უდავოდ საინტერესოა, როგორც პოლიტიკოსების, ისე პოლიტიკის მკვლევარებისთვის.

საქართველოს დემოკრატიულობის შესაფასებლად სტატია ეყრდნობა ინდექსებს, რომლებიც კონკრეტულად დემოკრატიზაციის დონეს ზომავენ; ასევე, სტატია განიხილავს ინდექსებს, რომლებიც ზომავენ დემოკრატიის უნივერსალურ ატრიბუტს - მედიის თავისუფლების ხარისხს.

დემოკრატიული კონსოლიდაციის შეფასება - საქართველო „ნაცრისფერ ზონაში“

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არსებობდა მოლოდინი, რომ პოსტ-საბჭოთა ქვეყნები დემოკრატიზაციის პროცესს გაივლიდნენ და საბოლოოდ დემოკრატიულ რეჟიმებად ჩამოყალიბდებოდნენ. სამწუხაროდ, უკანასკნელი 20 წლის მანძილზე პოსტ-საბჭოთა ქვეყნების უმრავლესობამ დემოკრატიის კონსოლიდაცია ვერ შეძლო და ჩამოყალიბდა რეჟიმად, რომელსაც ახასიათებს, როგორც დემოკრატიული, ისე ავტოკრატიული რეჟიმის ნიშნები. ამგვარ ქვეყნებს მეცნიერები „ნაცრისფერ ზონაში“ მყოფ ქვეყნებად განიხილავენ[1].

საქართველო, 90- იანი წლების ბოლოს, სწორედ, ავტოკრატიასა და დემოკრატიას შორის არსებული რეჟიმია. მოცემულ სტატიაში, განხილული მონაცემების მიხედვით, მდგომარეობა არც 2010- წლისთვის გაუმჯობესებულა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ არაერთი რეფორმა გატარდა, რომელთა მიზანი სახელმწიფო შესაძლებლობების გაძლიერება იყო; თუმცა, საქართველო კვლავ რჩება ავტორიტარულ და დემოკრატიულ რეჟიმებს შორის და გასული ათწლეულის განმავლობაში განსაკუთრებული ცვლილებები არ აღინიშნება. როგორც ჩანს, საქართველო „ნაცრისფერ ზონაში“ ღრმად არის ჩაფლული.

თავისუფლება მსოფლიოში

1973 წლიდან მოყოლებული „თავისუფლების სახლი“ (Freedom House) აქვეყნებს ინდექსს, სახელწოდებით, „თავისუფლება მსოფლიოში“ (Freedom in the world). აკადემიური და პოლიტიკური წრეებისთვის ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებული დემოკრატიის საზომი. ინდექსი ზომავს პოლიტიკურ და სამოქალაქო თავისუფლებას 1 -დან 7- მდე სკალაზე და ქვეყანაში ვითარების კლასიფიკაციას ახდენს, როგორც „თავისუფალი“ (ქულა 1.-2.5), „ნაწილობრივ თავისუფალი“ (ქულა 3-5) და „არა თავისუფალი“ (ქულა 5.5-7).

ცხრილი 1: თავისუფლება მსოფლიოში, საქართველო 1992-2012

	92	93	94	95	96	97	98	99	00	01	02	03	04	05	06	07	08	09	10	11	12
პოლიტიკური უფლებები	6	4	5	5	4	4	3	3	3	4	4	4	4	3	3	3	4	4	4	4	4
სამოქალაქო უფლებები	5	5	5	5	5	4	4	4	4	4	4	4	4	4	3	3	4	4	4	3	3
ქულა	5.5	4.5	5	5	4.5	4	3.5	3.5	3.5	4	4	4	4	3.5	3	3	4	4	4	3.5	3.5
სტატუსი	NF	PF	PF	PF	PF	PF	PF	PF	PF	PF	PF	PF	PF	PF	PF	PF	PF	PF	PF	PF	PF

[1] Carothers, Thomas, “The End of the Transition Paradigm.” *Journal of Democracy,* Vol: 13:1 (2002)

„თავისუფლება მსოფლიოში“ ინდექსის მიხედვით საქართველო 1993 წლის შემდეგ კლასიფიცირებულია, როგორც ნაწილობრივ თავისუფალი ქვეყანა[2]. 90 -იანი წლების ბოლოს საქართველოს ქულა 3.5-ს შეადგენს. ყველაზე სასურველი მონაცემი ქვეყანაში 2006-2007 წელს ფიქსირდება, თუმცა მალევე უარესდება და 2010- იანი წლების დასაწყისში საქართველოს 90-იანი წლების მსგავსი შეფასება აქვს. ამ მონაცემების მიხედვით საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესი უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე უკეთესობისკენ არ შეცვლილა.

მომდევნო სამი წლის განმავლობაში, როგორც პოლიტიკური უფლებების, ისე სამოქალაქო თავისუფლების პარამეტრების მიხედვით საქართველოს შეფასება მთელი ერთი ქულით გაუარესდა, რაც გასაკვირი არ არის, თუკი მივიღებთ მხედველობაში 2007 წლის ნოემბერში მთავრობის მიერ გამოცხადებულ საგანგებო სიტუაციას და 2008 წელს ჩატარებულ ვადამდელ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებს. 2008 წელი დამანგრეველი იყო საქართველოსთვის რუსეთთან მოკლევადიანი ომის გამო. მიუხედავად იმისა, რომ კრიზისის პერიოდში მთელი ქვეყანა და პოლიტიკური სპექტრი ერთად შეიკრა, შემდგომი პოლარიზაცია უფრო მკვეთრი გახდა და ხელისუფლების მიერ პოლიტიკურ კრიზისთან გამკლავების გზები უფრო სადავო. ასეთი ვითარება 2009 წელსაც გაგრძელდა და ოპოზიციის აქტიური პროტესტით გამოიხატა.

საინტერესოა, რომ 2011 და 2012 წლებში საქართველოს მაჩვენებელი გაუმჯობესდა და შეადგინა 3.5 ქულა. ანგარიშის მიხედვით 2011 წელს პოლიტიკური სტაბილურობა გაუმჯობესდა. 2010 წლის მაისის თვეში ადგილობრივი არჩევნები ორგანიზებულად ჩატარდა, გაიზარდა მედია საშუალებების მრავალფეროვნება. ანგარიშში შეტანილია 2010 წლის ოქტომბერში გაკეთებული კონსტიტუციური შესწორებებიც, რომლის თანახმად პრეზიდენტის პრემიერ-მინისტრის რანგში მოვლინება შესაძლებელი გახდა. თუმცა, აღსანიშნავია ვითარება, რომელშიც ეს შესწორებები ძალაში შევიდა. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მუშაობა საკონსტიტუციო კომისიაში მთელი 1 წლის მანძილზე ნომინალური იყო. შესაბამისად, საპარლამეტო მოსმენაზე წარდგენილი საცდელი დოკუმენტი არ ყოფილა სხვადასხვა მხარეებთან შეთანხმებული. ფორმალურად, დოკუმენტის განხილვა მოხდა კონსტიტუციით გათვალისწინებულ ერთი თვის მანძილზე, თუმცა რეალურად განხილვა მნიშვნელოვანი დისკუსიისა და თანამონაწილეობის გარეშე წარიმართა.

ქვეყნის 2012 წლის ანგარიშები ამჟამად ხელმისაწვდომი არ არის. ადგილობრივი ექსპერტებისთვის გაუმჯობესებული ქულები შეიძლება მოულოდნელი იყოს. პოლიციამ სასტიკად დაარბია ოპოზიციური დემონსტრაცია 2011 წლის 26 მაისს, ქვეყნის დამოუკიდებლობის დღეს, რათა მეორე დღეს დაგეგმილი სამხედრო აღლუმისთვის მოედანი გაეწმინდა. ადგილობრივმა ექსპერტებმა და ადამიანის უფლებების დამცველმა ორგანიზაციებმა პროტესტის მონაწილეების დევნა საჯაროდ გაკიცხეს. ამ მოვლენას ფოტოჟურნალისტების დევნის შემთხვევა მოჰყვა. ერთერთი ფოტოგრაფი ფლობდა

[2] თავისუფლების სახლის “თავისუფლება მსოფლიოში“ ვებგვერდზე შეიძლება 1992-2012 წლების ანგარიშების და მონაცემების ჩამოტვირთვა (Freedom House Freedom of the World), იხილეთ: http://www.freedomhouse.org/report/freedom-world/freedom-world-2012 ნანახია 15 ივნისს, 2012 წ.

ფოტომასალას, სადაც აღბეჭდილი იყო პოლიციის მიერ სასტიკი მეთოდებით დაშლილი აქცია.

შემოდგომაზე, პოლიტიკურ ასპარეზზე მილიარდერი ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა ქართულ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა. ივანიშვილმა, რომელიც წინა წლებში ბევრ სამთავრობო ინფრასტრუქტურულ პროექტს აფინანსებდა, საჯაროდ განაცხადა თავისი უკმაყოფილება სააკაშვილის ერთპიროვნული მმართველობის შესახებ. მან გამოხატა ღია პოზიცია საკუთარი პოლიტიკური ამბიციების შესახებ და მხარდაჭერა გამოუცხადა ოპოზიციას. ამის შემდეგ ივანიშვილის მიმართ ხელისუფლებამ რიგი შეზღუდვების განხორციელება დაიწყო: მას ჩამოერთვა მოქალაქეობა, შეიცვალა პარტიებისთვის ფინანსური რეგულაციები ოპოზიციური ჯგუფების დაფინანსების რეტროსპექტიული კრიმინალიზაციისთვის. ამ ყველაფერს ემატებოდა პრო-სახელისუფლებო მედიის მხრიდან ივანიშვილის დისკრედიტაცია. პრო-სახელისუფლებო მედია წარმოაჩენდა ივანიშვილს, როგორც რუსეთის ინტერესების გამტარებელს.

გარდამავალ ეტაპზე მყოფი ერები

თავისუფლების სახლის კიდევ ერთი პროექტი „გარდამავალ ეტაპზე მყოფი ერები“ (Nations in Transit) კომუნისტური რეჟიმიდან ლიბერალური სისტემისკენ გარდამავალი 29 ქვეყნის დეტალურ შეფასებას ახდენს[3]. თავისუფლების სახლი ქვეყნების რეიტინგს 1-დან 7-მდე სკალაზე (საუკეთესოდან ყველაზე ცუდამდე) აფასებს. დემოკრატიული ცვლილებების განსასაზღვრად თავისუფლების სახლის კვლევა უფრო დეტალურ კომპონენტებს იყენებს, ვიდრე ინდექსი „თავისუფლება მსოფლიოში“. ეს კომპონენტებია: საარჩევნო პროცესი, სამოქალაქო საზოგადოება, დამოუკიდებელი მედია, ეროვნულ დემოკრატიული მმართველობა, ადგილობრივი დემოკრატიული მმართველობა, სასამართლოს დამოუკიდებლობა და კორუფცია.

ამ კვლევის მიხედვითაც საქართველო რჩება „ნაწილობრივ თავისუფალ“ დემოკრატიულ ქვეყნად.

ცხრილი2: გარდამავალ ეტაპზე მყოფი ერები, საქართველო 2002-2011

	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
სარჩევნო პროცესი	5	5.25	5.25	4.75	4.75	4.5	4.75	5.25	5.25	**5**
სამოქალაქო საზოგადოება	4.00	4.00	4.00	3.50	3.50	3.50	3.50	3.75	3.75	**3.75**
მედიის თავისუფლება	3.75	4.00	4.00	4.25	4.25	4.00	4.25	4.25	4.25	**4.25**

[3] თავისუფლების სახლის „გარდამავალ ეტაპზე მყოფი ერების“ ვებგვერდზე შეგიძლიათ იხილოთ 2003-2011 წლის მონაცებები და ანგარიშები (Freedom House Nations in Transit), იხილეთ: http://www.freedomhouse.org/report-types/nations-transit, ნანახია 15 ივნისს, 2012 წ.

მმართველობა[4]	5	5.50	5.75	n/a	n/a	n/a	n/a	n/a	n/a	**n/a**
ეროვნული დემოკრატიული მმართველობა	n/a	n/a	n/a	5.50	5.50	5.75	6.00	6.00	6.00	**5.75**
ადგილობრივი დემოკრატიული მმართველობა	n/a	n/a	n/a	6.00	5.75	5.50	5.50	5.50	5.50	**5.50**
სასამართლოს თავისუფლება	4.25	4.50	4.50	5.00	4.75	4.75		4.75	4.75	**5**
კორუფცია	5.5	5.50	5.75	6.00	5.75	5.50	5.00	5.00	5.00	**4.75**
დემოკრატიის ქულა	**4.58**	**4.83**	**4.83**	**4.96**	**4.86**	**4.68**	**4.79.**	**4.93**	**4.93**	**4.86**

მონაცემები ცხადყოფს, რომ საქართველოს დემოკრატიული მდგომარეობა მკვეთრად არ გაუმჯობესებულა 2003 წელს ხელისუფლების შეცვლის შემდეგ. ინდიკატორებზე დაკვირვების შედეგად ჩანს, რომ ეროვნულ-დემოკრატიული მმართველობა და ასევე, ლოკალურ-დემოკრატიული მმართველობა საქართველოს დემოკრატიის ყველაზე სუსტი მხარეები, თუმცა სამოქალაქო საზოგადოება და დამოუკიდებელი მედია უფრო დადებით შეფასებას იღებენ. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება უფრო მზადაა და უკეთ არის აღჭურვილი დემოკრატიისთვის, ვიდრე ხელისუფლება.

ეკონომისტის ცნობათა განყოფილების დემოკრატიის ინდექსი

ეკონომისტის ცნობათა განყოფილების (Economist Intelligence Unit, EIU) „დემოკრატიის ინდექსი“, ასევე, ფართოდ გამოყენებული წყაროა ქვეყნების დემოკრატიულობის შესაფასებლად. EIU დემოკრატიის ინდექსი მხოლოდ 2006, 2008, 2010 და 2011 წლების შესახებ გვაწვდის ინფორმაციას. ეს ინდექსი იყენებს ხუთ კრიტერიუმს დემოკრატიულობის გასაზომად: საარჩევნო პროცესი და პლურალიზმი, სამოქალაქო უფლებები, მთავრობის ფუნქციონირება, პოლიტიკაში ჩართულობა, პოლიტიკური კულტურა. დემოკრატიის ქულა ამ კატეგორიების მიხედვით დგინდება და 0 დან 10-მდე სკალაზე იზომება[5]. „EIU დემოკრატიის ინდექსი“ რეჟიმთა ოთხ კატეგორიას გვთავაზობს:

1. სრული დემოკრატია- 8-10
2. გაუმართავი დემოკრატია- 6 -7.9

[4] 2005 წლის შემდგომ მმართველობის კომპონენტი იყოფა ორად და ცალ-ცალკე აფასებს ეროვნულ და ადგილობრივ დემოკრატიულ მმართველობას

[5]“დემოკრატიის ინდექსი 2011 დემოკრატია ზეწოლის ქვეშ“, ეკონომისტის ცნობათა განყოფილების ანგარიში (Democracy Index 2011, Democracy Under Stress), იხილეთ: http://www.eiu.com/public/thankyou_download.aspx?activity=download&campaignid=DemocracyIndex2011, ნანახია 16 ივნისს, 2012 წ.

3. ჰიბრიდული რეჟიმი - 4-5.9
4. ავტორიტარული რეჟიმი - 4 -ს ქვემოთ

„EIU დემოკრატიის ინდექსის“ მიხედვით საქართველო ჰიბრიდული რეჟიმია, რომელსაც 2006 წლიდან მოყოლებული მნიშვნელოვანი ცვლილებები დემოკრატიის გზაზე არ განუცდია.

ცხრილი 3. EIU დემოკრატიის ინდექსი, საქართველო 2006,2008, 2010, 2011.

	2006	**2008**	**2010**	**2011**
რეჟიმის სახეობა	ჰიბრიდული	ჰიბრიდული	ჰიბრიდული	ჰიბრიდული
რანგი	104	104	103	102
ჯამური ქულა	**4.9**	**4.62**	**4.59**	**4.74**
საარჩევნო პროცესი და პლურალიზმი	7.92	7	7	6.58
მთავრობის ფუნქციონირება	1.79	0.79	2.14	2.14
პოლიტიკაში ჩართულობა	3.33	4.44	3.89	4.44
პოლიტიკური კულტურა.	5	4.38	3.75	4.38
სამოქალაქო უფლებები	6.47	6.47	6.18	6.18

ფოლითი IV მონაცემთა ბაზა

„ფოლითი IV“ (Polity IV) არის ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებული მონაცემთა წყარო სოციალურ მეცნიერებათა მუშაკებისთვის. „ფოლითი IV“ სოციალური კონფლიქტის კვლევის ინტეგრირებული ქსელის ერთ-ერთი პროექტია (The Integrated Network for Societal Conflict Research, INSCR). მონაცემთა შეგროვება დაიწყო 1975 წელს და მოიცავს თითქმის ყველა სუვერენიტეტის მქონე ქვეყანას, რომელიც არსებობდა ან არსებობს 1800 წლიდან 2010

წლამდე. „ფოლითის“ ქულა მიღებულია ორი მნიშვნელოვანი ცვლადისგან - დემოკრატიის ქულა და ავტოკრატიის ქულა[6].

„ფოლითის“ ქულა არის გაერთიანებული ქულა, ის მიიღება დემოკრატიის მაჩვენებლისგან ავტოკრატიის ქულის გამოკლებით. შედეგად მიღებული ქულა უნიფიცირებული „ფოლითის“ სკალაზე +10დან (ძლიერი დემოკრატია) -10 ქულამდე (ძლიერი ავტოკრატია) ვარირებს. „ფოლითის“ ქულები, ასევე შესაძლოა გადაყვანილ იქნას რეჟიმის კატეგორიებად: ,,ავტოკრატული'' (-10დან -6 მდე), ,,ანოკრატული[7]'' (-5დან +5მდე) და ,, დემოკრატიული'' (+6დან +10მდე).

„ფოლითი IV“ არის ერთადერთი მონაცემთა ბაზა, რომლის მიხედვითაც საქართველო კლასიფიცირებულია დემოკრატიულ ქვეყნებს შორის. როდესაც ვახდენთ ამ შედეგის ინტერპრეტაციას, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ „ფოლითის“ ქულები დემოკრატიის საკმაოდ ვიწრო და საბაზისო განმარტებას ეფუძნება და ქვეყანაში არსებული სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლების დაცულობას არ ითვალისწინებს. „ფოლითი IV“-ის მონაცემების მიხედვით საქართველო აკმაყოფილებს დემოკრატიის მინიმალისტურ გაგებას. „ფოლითი“, ისევე როგორც სხვა კვლევები ააშკარავებს ტენდენციას, რომ საქართველოში დემოკრატიული პროცესები მეტნაკლებად უკეთესობისკენ ვითარდება 2004 წლიდან 2006-2007 წლებამდე; შემდეგ კი იწყებს გაუარესებას.

[6]“ფოლითი IV” პროექტი: პოლიტიკური რეჟიმის მახასიათებლები და ცვლილებები 1800-2010, (Polity IV Project: Political Regime Characteristics and Transitions, 1800-2010), იხილეთ: http://www.systemicpeace.org/polity/polity4.htm, ნანახია 3 ივნისს, 2012 წ.

[7] „ანოკრატია“ გამოიყენება „ფოლითი IV“ ინდექსის მიერ ავტოკრატიულ და დემოკრატიულ რეჟიმებს შორის მყოფი ქვეყნების აღსანიშნავად.

სურათი 1. Polity IV, დემოკრატიის და ავტოკრატიის ქულები, 1991-2010, საქართველო[8]



სურათი 2. ფოლითის ქულა, 1991-2010, საქართველო



[8] სოციალური კონფლიქტის კვლევის ინტეგრირებული ქსელის მონაცემთა გვერდი (Integrated Network for Societal Conflict Research (INSCR), იხილეთ: http://www.systemicpeace.org/inscr/inscr.htm, ნანახია 3 ივნისს, 2012 წ.

პრესის თავისუფლება

თავისუფალი მედია საყოველთაოდ აღიარებულია დემოკრატიული საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ელემენტად. ჯანმრთელი მედია გარემო უზრუნველყოფს არჩევნების პერიოდში ხელისუფლების დემოკრატიულ კონტროლს . მედიამ გადამწყვეტი როლი ითამაშა 2003 წლის ვარდების რევოლუციის პერიოდში, თუმცა რევოლუციის შემდგომ საგრძნობლად შეიზღუდა მედიის თავისუფლება[9].

თავისუფლების სახლი აფასებს „პრესის თავისუფლებას" (Freedom of the Press) მსოფლიოს მასშტაბით 1980 წლიდან. ქვეყნების ქულები მერყეობენ 0 (საუკეთესო) და 100 (ყველაზე უარესი მდგომარეობა). ჯამური ქულების მიხედვით ქვეყნების კლასიფიცირება ხდება: თავისუფალი მედია (0-30), ნაწილობრივ თავისუფალი მედია (31-60), და (61-100) არა თავისუფალი მედია. 2002 წლიდან საქართველო მუდმივად არის იმ ქვეყნებს შორის, სადაც არის ნაწილობრივ თავისუფალი მედია.

ცხრილი 4. პრესის თავისუფლება, საქართველო 2002-2011

	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
სტატუსი							PF	PF	PF	PF	PF
სამართლებრივი გარემო	20	18	16	14	13	13	14	14	14	14	18
პოლიტიკური გავლენები	18	21	23	26	27	27	28	29	29	22	21
ეკონომიური ზეწოლა	15	15	15	16	17	17	18	17	17	19	13
ჯამური ქულა	53	54	54	56	57	57	60	60	60	55	52

ყოველწლიურად მზადდება თითოეული ქვეყნის ანგარიში, რომელიც ქულებთან ერთად მნიშვნელოვან მოვლენათა შეჯამებას აკეთებს. მიუხედავად იმისა, რომ მოკლე ანგარიშები შეიძლება დეტალურად ვერ ასახავდეს ქვეყნის ვითარებას, საქართველოზე არსებული ანგარიშები მიუთითებენ რევოლუციის შემდგომ მედია საშუალებებზე კონტროლის ზრდის ტენდენციაზე. 2003 წლიდან დაწყებული 2010 წლამდე საქართველოს მედიის თავისუფლების მდგომარეობა უარესობისკენ მიდის.

2012 წლის მიხედვით საქართველოში მედიის თავისუფლების ხარისხი გაუმჯობესებულია - 55 ქულიდან 52 ქულამდე. ანგარიშში ნათქვამია, რომ არსებული გაუმჯობესება ასახავს

[9]თავისუფლების სახლის „პრესის თავისუფლების" ვებგვერდზე შეგიძლიათ იხილოთ 2002-2011 წლის მონაცემები და ანგარიშები (Freedom House, Freedom of the Press), იხილეთ: http://www.freedomhouse.org/report-types/freedom-press, ნანახია 15 ივნისს, 2012 წ.

რამდენიმე ახალი პუბლიკაციის გამოცემას, მაუწყებლობაზე ლიცენზიის გაცემას და სხვა პოზიტიურ მოვლენებს. მეორეს მხრივ, გაუმჯობესებული მონაცემი არ ასახავს ოპოზიციურად განწყობილი სატელევიზიო თუ რადიო მაუწყებლობებზე ხელმისაწვდომობის შემცირებას საქართველოს მოსახლეობისთვის.

ინტერნეტის თავისუფლება

ინტერნეტი და სოციალური მედიის გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე ბოლო ათწლეულების მანძილზე თვალსაჩინო გახდა. მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ არაბული გაზაფხულის შემთხვევა და ახლახანს განვითარებული მოვლენები რუსეთში. საქართველოში ურბანულ ნაწილებში ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა შედარებით დიდია, თუმცა მოსახლეობის უმრავლესობისათვის ინტერნეტი ინფორმაციის წყაროს არ წარმოადგენს.

თავისუფლების სახლმა ინტერნეტის მნიშვნელობის ზრდასთან დაკავშირებით იკვლია 2009 წელს 15 ქვეყანაში „ინტერნეტის თავისუფლება“ (Freedom on the Net), კვლევაში საქართველოც იყო ჩართული. კვლევა განახლდა 2011 წელს და უკვე 37 ქვეყნას მოიცავდა. ქულები 0-100-მდე მერყეობს. 0-30 ქულის მქონე ქვეყნები მიიჩნევა როგორც თავისუფალი, 31-60 - ნახევრად თავისუფალი, ხოლო 61-100 - არა თავისუფალი[10].

ცხრილი 5. ინტერნეტის თავისუფლება, საქართველო 2009, 20011

	2009	2011
სტატუსი	ნახევრად თავისუფალი	ნახევრად თავისუფალი
დაბრკოლებები ხელმისაწვდომობაზე	15	12
შეზღუდვა შინაარსზე	15	10
მომხმარებლის უფლების დარღვევა	13	13
ჯამური ქულა	43	35

საქართველოში ფაქტიურად არ არსებობს ინტერნეტ სივრცის რეგულაციები ან ინტერნეტ ცენზურა, შესაბამისად საქართველოს ინტერნეტის თავისუფლების ქულა საკმაოდ მაღალია.

[10]თავისუფლების სახლის „ინტერნეტის თავისუფლების“ ვებგვერდზე შეგიძლიათ იხილოთ 2009, 2011 წლების მონაცებები და ანგარიშები (Freedom House, Freedom on the Net), იხილეთ: http://www.freedomhouse.org/report-types/freedom-net, ნანახია 16 ივნისს, 2012 წ.

მედიის მდგრადი განვითარების ინდექსი

აირექსმა (IREX) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (USAID) ერთად მოამზადა „მედიის მდგრადობის ინდექსი“ (Media Sustainability Index MSI). მედიის მდგრადობის შეფასება ხუთ მიზანთან მიმართებაში ხდება. ეს მიზნებია: სიტყვის თავისუფლება, პროფესიონალური ჟურნალისტიკა, მრავალფეროვნება, ბიზნესის მართვა და მხარდამჭერი ინსტიტუტები[11].

აირექსი გვთავაზობს ქვეყნის მდგრადი განვითარების მარტივ კლასიფიკაციას, რომელიც ეფუძნება 4 ქულიან სკალას: არამდგრადი განვითარება, ანტი-თავისუფალი პრესა (0-1), არამდგრადი შერეული სისტემა (1-2), მდგრად განვითარებასთან ახლოს მყოფი სისტემა (2-3) მდგრადი სისტემა (3-4).

ცხრილი 6. აირექსის მედიის მდგრადობის ინდექსი, საქართველო 2001-2012

	2001	**02**	**03**	**04**	**05**	**06/07**	**08**	**09**	**10**	**11**	**12**
სიტყვის თავისუფლება	1.87	1.82	1.98	2.26	2.31	2.73	2.16	1.9	2.05	2.1	2.11
პროფესიონალური ჟურნალისტიკა	1.57	1.59	1.94	2	2.12	2.09	2.11	1.8	1.62	1.8	1.76
მრავალფეროვნება	2.15	1.91	2.1	2.25	2.23	2.62	2.09	1.9	1.68	1.9	2.05
ბიზნესის მართვა	1.54	1.32	1.44	1.85	1.94	2.14	1.77	1.9	1.61	1.5	1.48
მხარდამჭერი ინსტიტუტები	1.97	1.89	2.34	2.26	2.25	2.42	2.23	2	2.14	2.1	2
ჯამური ქულა	**1.82**	**1.7**	**1.96**	**2.12**	**2.23**	**2.4**	**2.07**	**1.9**	**1.82**	**1.9**	**1.88**

[11] “მედიის მდგრადობის ინდექსი“ მეთოდოლოგია (Media Sustainability Index (MSI) Methodology), იხილეთ: http://www.irex.org/resource/media-sustainability-index-msi-methodology, ნანახია 6 ივნისს, 2012 წ.

სურათი 3. აირექსის მედიის მდგრადობის ინდექსი, საქართველო 2001-2012



აირექსის „მედიის მდგრადობის ინდექსის“ მიხედვით საქართველოს სტატუსი არის არამდგრადი შერეული სისტემა, ამ მონაცემის შესაბამისად ქვეყანა მინიმალურად არის თანხვედრაში ინდექსის მიერ განსაზღვრულ მიზნებთან. მედიის მდგრადობის ინდექსის ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2003 წლიდან იწყება მედიის მდგრადობის გაუმჯობესება, 2004-2008 წლამდე საქართველო არის მედიის მდგრად განვითარებასთან ახლოს მყოფი ქვეყანა. სამწუხაროდ, 2008 წლიდან ქვეყანამ განიცადა მნიშვნელოვანი ვარდნა და კვლავ გადაინაცვლა არამდგრადი მედიის მქონე ქვეყნებში, როგორც ეს იყო 2004 წლამდე.

დასკვნა

მოცემულ სტატიაში განვიხილეთ საქართველოს დემოკრატიული განვითარება საერთაშორისო ინდექსების მონაცემებზე დაყრდნობით. მართალია, ინდექსები პოლიტიკურ ვითარებას აფასებს შეზღუდული რაოდენობის ცვლადების მიხედვით და კომპლექსური სურათის შესასწავლად შეიძლება არ იყოს მიზანშეწონილი მხოლოდ ინდექსების მონაცემების გამოყენება, მაგრამ ინდექსები საუკეთესო რესურსია იმისთვის, რომ კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით შევაფასოთ ქვეყნის განვითარება დროში მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით. ინდექსები გვეხმარება დავინახოთ როგორ არის აღქმული საქართველოს ვითარება გარე დამკვირვებლების მიერ გლობალურ კონტექტში.

სხვადასხვა ინდექსები ერთსა და იმავე ტენდენციას ასახავენ - საქართველოს ბოლო ათი-თხუთმეტი წლის მანძილზე არ განუცდია პროგრესი პოლიტიკური ლიბერალიზაციის თვალსაზრისით. „ვარდების რევოლუციის“ მთავარი დაპირება- დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის მშენებლობა ნაწილობრივაც კი არ შესრულებულა.

ამ ნაშრომის პირველი ნაწილი ეხება იმ სამ ინდექსს, რომელიც ზომავს ქვეყანაში დემოკრატიის დონეს. თავისუფლების სახლის მიერ განხორციელებული ინდექსის მიხედვით - ,,თავისუფლება მსოფლიოში'', საქართველო არის ნაწილობრივ თავისუფალი ქვეყანა. ეს მონაცემები მოიცავს 1992 წლიდან 2012 წლებს. ,,თავისუფლება მსოფლიოში''-ს მიხედვით 1990 წელს საქართველო გამოირჩეოდა დემოკრატიის ყველაზე ცუდი მაჩვენებლით, თუმცა 1998 წლისთვის ეს მაჩვენებელი უმჯობესდება (3.5 ქულა 7 ქულიან სკალაზე). უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლისთვის საქართველოს ქულა ისევ 3,5-ია, რაც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ საქართველოში არ არის პროგრესი დემოკრატიის განვითარების მხრივ. ეს მონაცემები, ასევე, ასახავს 2005-2007 წლებში მოპოვებულ მცირე მიღწევებს, თუმცა 2007 წლის შემდგომ ქულები კვლავ უარესდება. საქართველოს დღეს ისევე როგორც 1990- იანი წლების ბოლოს ნაწილობრივ თავისუფალი ქვეყნის სტატუსი ენიჭება. „ვარდების რევოლუციამდელ“ პერიოდთან შედარებით დემოკრატიის მგდომარეობა საქართველოში არ გაუმჯობესებულა.

თავისუფლების სახლის შემდეგი პროექტი გარდამავალ ეტაპზე მყოფი ერების შესახებ, შერჩეულ 29 ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების დეტალურ შეფასებას ახდენს. ეს კვლევა წინა ანგარიშთან შედარებით, უფრო ნათლად აჩვენებს, რომ საქართველოში დემოკრატიის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. უფრო მეტიც, ამ მონაცემების მიხედვით ქულები ოდნავ უარესდება. თუკი კონკრეტულ მაჩვენებლებს დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ საქართველოში არის ყველაზე არასასურველი მდგომარეობა ნაციონალური და ლოკალური დემოკრატიული მმართველობის კუთხით, თუმცა მედიის თავისუფლების და სამოქალაქო საზოგადოების მაჩვენებლების მიხედვით უფრო სახარბიელო მდგომარეობაა.

„EIU დემოკრატიის ინდექსი“ გვაწვდის ინფორმაციას მხოლოდ 2006, 2008, 2010 და 2011 წლების მდგომარეობის შესახებ. ეს კვლევა რეჟიმებს ოთხ კატეგორიად ყოფს: სრული დემოკრატია, გაუმართავი დემოკრატია, ჰიბრიდული რეჟიმი და ავტორიტარული რეჟიმი. საქართველო ჰიბრიდული რეჟიმების სიაშია და აღნიშნული წლების მანძილზე რეჟიმი მნიშვნელოვან ცვლილებებს არ განიცდის.

„ფოლითი IV“ ერთადერთი ინდექსია, რომელიც საქართველოს დემოკრატიულ ქვეყანად მიიჩნევს. ამ მაჩვენებლების მიხედვით საქართველოს მდგომარეობა გაუმჯობესდა 1995-1996 წლებში და 2004 წელს. ყველაზე საუკეთესო მდგომარეობა იყო 2004-2007 წლებში, შემდეგ ისევ უარესდება გადამეტებული ავტორიტარული ტენდენციების გამო.

ანგარიშის მეორე ნაწილი აფასებს დემოკრატიის ძირითად კომპონენტს - პრესის თვისუფლებას. თავისუფლების სახლის „პრესის თავისუფლების ინდექსის“ მიხედვით საქართველოში მედია ნახევრად თავისუფალია. ეს ინდექსი აჩვენებს ფარდობით წინსვლას თავისუფალი მედიის მხრივ 2005-2010 წლებში, თუმცა ეს მდგომარეობა უარესდება 2011-2012 წლებში და უტოლდება მდგომარეობას, რაც იყო 2002 წელს.

„ინტერნეტის თავისუფლების ინდექსის“ მიხედვითაც საქართველო, ნაწილობრივ დემოკრატიულ ქვეყანად არის შეფასებული. რადგან საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობს არანაირი ინტერნეტ რეგულაცია და ცენზურა, ინტერნეტის თავისუფლების ქულები საკმაოდ მაღალია. მეორეს მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ინტერნეტი არ წარმოადგენს ინფორმაციის მთავარ წყაროს, ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა და ინტერნეტ წყაროების გამოყენების უნარები მოსახლეობის მცირე ნაწილს აქვს. ამგვარად ინტერნეტის თავისუფლება თუ შეზღუდვა, რეალურად არ ახდენს გავლენას მოსახლეობის უმრავლესობის ინფორმირებულობაზე, თუმცა მას აქვს დიდი მნიშვნელობა სტუდენტებისთვის და სამოქალაქო საზოგადოებაში ჩაბმული აქტივისტებისთვის.

აირექსის „მედიის მდგრადობის ინდექსის“ მიხედვით, საქართველოს აქვს მერყევი შერეული მედია სისტემა. ეს საკმაოდ პრობლემური შეფასებაა, რადგან აირექსის კველების შედეგად, იდენტიფიცირებული მდგრადობის ოთხი დონიდან, საქართველო არის საკმაოდ დაბალ - მესამე დონეზე. საქართველოში იყო უკეთესი მდგომარეობა მედია მდგრადობის ინდექსის მიხედვით 2004-2008 წლებში. თუმცა, ისევე როგორც დემოკრატიის სხვა ინდექსები, ამ კომპონენტსაც აქვს გაუარესების ტენდეცია 2008 წლიდან.

რა დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ აღნიშნულ საერთაშორისო ინდექსებზე დაყრდნობით საქართველოში დემოკრატიის მდგომარეობის შესახებ?

ამ სტატიაში განხილული მონაცემები მიუთითებს, რომ მიუხედავად დროებითი პოზიტიური ცვლილებებისა, საქართველოში დემოკრატიზაციის თვალსაზრისით წინსვლა დროთა განმავლობაში არ აღინიშნება. ინდექსების უმეტესი ნაწილის მიხედვით საქართველო მიეკუთვნება ,,ნაცრისფერ ზონას''; ის ნაწილობრივ თავისუფალი და დემოკრატიულია.

ზოგიერთი ინდექსი, როგორიც არის ,,თავისუფლება მსოფლიოში'' და ,,გარდამავალ ეტაპზე მყოფი ერები'' აჩვენებენ, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებები უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე ძირითადად არ მომხდარა . სხვა მაჩვენებლები ასახავენ ფარდობით წინსვლას დემოკრატიულობის და მედიით მდგრადობის კუთხით. 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ წინ გადაგმული ნაბიჯების შენარჩუნება ვერ მოხერხდა; 2007-2008 წლებში იწყება საქართველოს უკუსვლის პროცესი. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ

საქართველოს პოლიტიკური რეჟიმი 2012 წლისათვის არ არის 1990-იანი წლების პოლიტიკურ რეჟიმთან შედარებით უფრო დემოკრატიული.

ავტორის შესახებ

ლელა რეხვიაშვილი არის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერებების, საჯარო ადმინისტრირების და საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო სკოლის სტუდენტი. 2009 წელს ლელამ დაასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის „ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში" სამაგისტრო პროგრამა, ხოლო 2010 წელს ცენტრალური უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა. 2009 წელს ჩაატარა თვისობრივი კვლევა დევნილების სოციალურ-ეკონომიური პრობლემების შესახებ. ლელას კვლევითი ინტერესებია: პოლიტიკური და ეკონომიური ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში, განვითარების პოლიტ-ეკონომია, არაფორმალური ეკონომიკა და ინსტიტუტები, სამოქალაქო საზოგადოების და სახელმწოფოს როლი სოციალურ პრობლემათა გადაჭრაში.

წყაროები

Carothers, Thomas (2002). The End of the Transition Paradigm. *Journal of Democracy*. Vol: 13:1 (2002)

„დემოკრატიის ინდექსი 2011- დემოკრატია ზეწოლის ქვეშ“, ეკონომისტის ცნობათა განყოფილების ანგარიში, იხილეთ: http://www.eiu.com/public/thankyou_download.aspx?activity=download&campaignid=DemocracyIndex2011, ნანახია 16 ივნისს, 2012 წ.

თავისუფლების სახლის "თავისუფლება მსოფლიოში" ვებ გვერდზე შეიძლება 1992-2012 წლების ანგარიშების და მონაცემების ჩამოტვირთვა, იხილეთ: http://www.freedomhouse.org/report/freedom-world/freedom-world-2012, ნანახია 15 ივნისს, 2012წ.

თავისუფლების სახლის „გარდამავალ ეტაპზე მყოფი ერების" ვებგვერდზე შეგიძლიათ იხილოთ 2003-2011 წლის მონაცებები და ანგარიშები, იხილეთ: http://www.freedomhouse.org/report-types/nations-transit, ნანახია 15 ივნისს, 2012

თავისუფლების სახლის „პრესის თავისუფლების" ვებგვერდზე შეგიძლიათ იხილოთ 2002-2011 წლის მონაცებები და ანგარიშები, იხილეთ: http://www.freedomhouse.org/report-types/freedom-press, ნანახია 15 ივნისს, 2012 წ.

თავისუფლების სახლის „ინტერნეტის თავისუფლების" ვებგვერდზე შეგიძლიათ იხილოთ 2009, 2011 წლის მონაცემები და ანგარიშები, იხილეთ: http://www.freedomhouse.org/report-types/freedom-net, ნანახია 16 ივნისს, 2012 წ.

"მედიის მდგრადობის ინდექსი" მეთოდოლოგია, იხილეთ: http://www.irex.org/resource/media-sustainability-index-msi-methodology, ნანახია 6 ივნისს, 2012 წ.

„ფოლითი IV" პროექტი: პოლიტიკური რეჟიმის მახასიათებლები და ცვლილებები 1800-2010, იხილეთ: http://www.systemicpeace.org/polity/polity4.htm, ნანახია 3 ივნისს, 2012 წ.

სოციალური კონფლიქტის კვლევის ინტეგრირებული ქსელის მონაცემთა გვერდი, იხილეთ: http://www.systemicpeace.org/inscr/inscr.htm, ნანახია 3 ივნისს, 2012 წ.